#369 2013 წლის 26 აპრილი ქ. თბილისი

გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტის ,,ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში" მოწონებისა და საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ხათუნა გოგალაძისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. მოწონებულ იქნას გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი ,,ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში".

2. ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრს, ხათუნა გოგალაძეს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებას - ,,ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში".

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**